საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2850
22/06/2022

2850-21-2-202206221806

შპს „ჯორჯტრანსს“
მის: ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. №2/9
ელ. ფოსტა: gt@georgtrans.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №9304 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გორაბერეჟოულში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დაზუსტებას საჭიროებს სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტების განთავსების GPS კოორდინატები, შესაბამის გენ-გეგმაზე დატანით;
- წყალაღების წერტილიდან სამსხვრევ–დამხარისხებელ დანადგარამდე წყლის მიწოდების ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული საოფისე ფართის მოწყობის პროცესში წარმოქმნილი ნიადაგის/გრუნტის შემდგომი მართვის საკითხი;
- გაფრქვევის წყაროების აღწერისა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია;
- ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტის შესახებ ინფორმაცია, ასევე, „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო